ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის კათედრის პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა") სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 05 სექტემბრის N: 239/01-01 ბრძანების და ვიზუალური ხელოვნების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა") სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის N: 237/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების N:118/2024, 07/10/2024) საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"24" ოქტომბერი 2024 წ.**

17:00 საათი, თსუ II კორპუსი, აუდიტორია № 205

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

1. დემურ ჯალაღონია- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან სილაგაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ანასტასია ზაქარიაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ვალერიან რამიშვილი- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
5. მამია სურმავა- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

   ა) ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა") სამსახურში

მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

ზ) ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი სახვითი ხელოვნების ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული (კატეგორია „ა") სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, დემურ ჯალაღონიამ მოახსენა წევრებს საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა - ირაკლი ბათიაშვილმა და მამუკა დოლიძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის ირაკლი ბათიაშვილის-პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ირაკლი ბათიაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში, როგორც მოწვეული პროფესორი ჩართული იყო თსუ ფილოსოფიის პროგრამის ბაკალავრიატისა და სამაგისტრო სასწავლო კურსების განხორციელებაში, ასევე აქტიურად იყო ჩართული ავტორიზაციის პროცესში; იგი კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში დასახელებს საგნებს, რომლებიც ესთეტიკისა და კულტურის მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი (სულ 7). მათ შორის ერთი სამაგისტრო დონისთვის განსაზღვრული სასწავლო კურსის სილაბუსი „ძალაუფლების თანამედროვე თეორიები და მათი მეტამორფოზები კულტურაში" საავტოროა და მრავალი წელი იკითხება. რაც შეეხება სხვა სილაბუსებს, მიუხედავად იმისა, რომ რეაკრედიტებული და უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასებულ პაკეტში ეს სილაბუსები სხვა, აწ გარდაცვლილი ავტორის მიერაა წარმოდგენილი, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და ახალი შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. განსაკუთრებით ღირებულია ირაკლი ბათიაშვილის ინტერესი კულტურის ფილოსოფიისა და ესთეტიკური აზრის ახალი რაკურსით წარმოჩენის მიმართ. კონკურსანტი ასევე ნაყოფიერად მუშაობს სტუდენტების დარგით დაინტერესების მიმართულებით.

კონკურსანტის მონოგრაფიები, და სხვა პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; საერთაშორისო კონგრესებში მონაწილეობა-ხელოვნების ფილოსოფიისა და კულტურის ფილოსოფიის საკითხების ახლებურად დაყენება და გადაწყვეტის გზების ძიება ცალსახად ასაბუთებს, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა (რომელიც კარგად ჩანს კონკურსანტის ანკეტიდან) ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ სამოტივაციოში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება-განვითარების, ისე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მიმა-რთულებით, თავისი კვლევის თემატიკით, მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა" და ოქმი №3).

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მაღალი დონის ფილოსოფოსია, დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი სპეციალისტი, ფილოსოფოსი მკვლევარი, რომელსაც მაღალ თეორიულ დონეზე შეუძლია გააანალიზოსს და ერთიან დისკურსში წარმოადგინოს ადამიანის ესთეტიკური ფენომენის რაობა და კულტურულ -ფილოსოფიურად გაიაზროს სწრაფცვალებად სამყაროში მიმდინარე ფუნდამენტური მოვლენები, გლობალური და პოსტმოდერნული სამყაროსი. კრიტიკულად და სიღრმისეულად გააშუქოს კლასიკურ და არაკლასიკურ პარადიგმებს შორის დაპირისპირების არსი. იგი ავლენს დარგში ახალ გამოწვევებზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლად რეაგირების უნარს, და შეუძლია დარგში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება, რაც ხელ შეუწყობს დარგის განვითარებას.

მას აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. არის წარმატებული პერსონა, იგი მატარებელია მაღალი სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, რომლის შენარჩუნება საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროფესიული განვითრებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი კანდიდატ ირაკლი ბათიაშვილის კანდიდატურას. საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ ირაკლი ბათიაშვილის

სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება კულტურის ფილოსოფიას დაეხმარება ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში;.

ბ) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა - ირაკლი ბათიაშვილმა და მამუკა დოლიძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის მამუკა დოლიძის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

მამუკა დოლიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო საშუალო შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

კონკურსანტს აქვს პედაგოგიური გამოცდილება. თუმცა დანართის სახით წარმოდგენილი 7 სილაბუსიდან ფილოსოფიის აკრედიტებული პროგრამის სასწავლო კურსებია ბაკალავრიატში (4)-.ანალიტიკური ფილოსოფია, .ისტორიის ფილოსოფია, ინფორმაციული საზოგადოება და კომუნიკაციები, .რელიგიის ფილოსოფია და მაგისტრატურაში (3)- ძალაუფლების ფენომენოლოგია, ალექსის და ტოკვილის პოლიტიკური ფილოსოფია. მხოლოდ ერთი, კულტურის ინდუსტრია, შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის პროფილს "ესთეტიკა და კულტურის ფილოსოფია". 1 სილაბუსის-,,რელიგიის ფილოსოფია'' - ავტორი არის ინსტიტუტის სხვა პროფესორი. კონკურსანტს ევალებოდა ვაკანსიის პროფილთან შესაბამისობაში მყოფი პროგრამით გათვალისწინებეული სასწავლო კურსების სილაბუსების წარმოდგენა.

მამუკა დოლიძის სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა პუბლიკაციებისა და კონფერენციების მიმართულებით არის მდიდარი. წარმოდგენილი 25 პუბლიკაციიდან უცხოეთში გამოქვეყნებული სტატიები ადგილობრივ ჟ. და საკონფერენციო მასალებში12/ სულ 25 , მათ შორისაა მონოგრაფია 4, ლექციების ციკლი -1, კრებული-1 და სახელმძღვანელო-1, მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში არის- 21, ადგილობრივში-1; მას არ აქვს მიღებული მონაწილეობა საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში.

მისასალმებელი ფაქტია კონკურსანტის მიერ მითითებული თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. კონკურსანტი მონაწილეობდა ფილოსოფიურ სემინარებში: ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, აშშ, ეს აქტივობა, თავისთავად მაგრამ აუცილებელია პასუხი გაეცეს ამ ურთიერთობის შედეგებს, რასაც მოითხოვს ეს პუნქტი. რა შედეგები მოუტანა, ან მომავალში მოუტანს გამოცხადებული ვაკანსიის კათედრას. როგორ აისახება იგი თსუს, ფაკულტეტის, ან ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით წინსვლაზე? საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილ ნაშრომი მონოგრაფია "ფენომენოლოგია, როგორც შემოქმედების ფილოსოფია" (გამომცემლობა „საჩინო", თბილისი; ISBN 978-9941-9712-04) 184 გვერდიანი წიგნია და მოიცავს ორ ნაწილს. პირველი- 106 გვერდის მოცულობისაა და ეხება თეორიული პრობლემების დაყენებას ფენომენოლოგიური ანალიზის გამოყენებით, მეორე ნაწილი- კი სალექციო კურსებია. მონოგრაფიაში სასწავლო კურსების შეტანა მონოგრაფიის ფორმატს არღვევს.

სამოტივაციო წერილში კონკურსანტი ვრცლად საუბრობს მის სამეცნიერო ინტერესებზე, ინტერესზე ჰუსერლის ფენომენოლოგიური ფილოსოფიის მიმართ, კვანტური ფიზიკის და სიტყვიერი ხელოვნების ესთეტიკის კავშირზე, რაც შეადგენს მისი კვლევა-ძიების საგანს, მდიდარ და მრავალწლიან სამეცნიერო ჩართულობაზე ამ მიმართულებით, რაც უდაოდ საჭირო მომენტია მეცნიერის პირადი განვითარებისათვის. მაგრამ სამოტივაციო წერილში უფრო მკაფიოდ უნდა გამოჩენელიყო რა პერსპექტივებს ხედავს კონკურსანტი ამ საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით, როგორ გეგმავს საკუთარი საერთაშორისო გამოცდილების მორგებას და ადაპტირებას თსუ, ფაკულტეტის, ინსტიტუტის, კათედრის საჭიროებებთან. კონკურსანტი ვრცლად საუბრობს საკუთარ მდიდარ გამოცდილებაზე და აქტივობებზე მხოლოდ პირად ჭრილში,

არაფერია ნათქვამი რა წვლილს შეიტანს სტუდენტების, ახალგაზრდა თაობის სამეცნიერო აღზრდის საქმეში და რა გეგმებს სახავს კათედრის სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ინტეგრაციისა და მომავალი ინტერნაციონალიზაციისათვის;. ასევე კონკურსანტს ვრცლად უნდა აესახა თუ რამდენადაა თანამედროვე ინტერესების ამსახველი მისი პირადი სამეცნიერო ინტერესები ვაკანსიის მიმართულებით, რამდენად ნაყოფიერი და ქმედითია იგი ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის კათედრისათვის, როგორ აისახება იგი ამ პროფილის სწავლების სამივე დონის კურიკულუმზე, სალექციო კურსებზე, თუ სწავლების მეთოდებზე.

სასურველი იყო რომ კონკურსანტს მკაფიოდ წარმოედგინა თუ როგორ აპირებს მოარგოს საკუთარი საერთაშორისო გამოცდილება ადგილობრივ თსუ, ფაკულტეტის, ინსტიტუტის, კათედრის საჭიროებებს (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“ და ოქმი №3).

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სხვა სახის აქტივობებთან დაკავშირებული წამოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ დოლიძე არის სხვადასხვა საბჭოს წევრი- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს (-0900) წევრი; საქართველოს ფენომენოლოგიური საზოგადოების და ინტერდისციპლინარულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრის თავმჯდომარე; მსოფლიო ფენომენოლოგიერი ინსტიტუტის, ფენომენოლოგიისა და ლიტერატურის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ვაშინგტონის კათოლიკურ უნივერსიტეტთან არსებული ფილოსოფიისა და ღირებულებათა კვლევის საბჭოს წევრი; მსოფლიო ფენომენოლოგიური ენციკლოპედიის Analecta Husserliana (ტ. 80). თანაავტორი და საგამომცემლო საბჭოს წევრი; 2002 წლიდან სხვადასხვა კრებულების, მათ შორის ინგლისურენოვანის რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი, კონკურსანტს აქვს მდიდარი სამწერლო მოღვაწეობა და არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მოწინააღმდეგე, არცერთი მომხრე) არ დაუჭირა მხარი მამუკა დოლიძის კანდიდატურას. საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები საშუალო შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ მამუკა დოლიძის სამეცნიერო

და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ესთეტიკასა და კულტურის ფილოსოფიას ამ ეტაპზე ვერ დაეხმარება ფილოსოფიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში სახვითი ხელოვნების ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ვლადიმერ ასათიანმა.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, ერთი კანდიდატის-ვლადიმერ ასათიანის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ვლადიმერ ასათიანმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში სახვითი ხელოვნების ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. შესაძლებელია ითქვას, რომ სახვითი ხელოვნების ერთერთი დამფუძნებელია.

ამ ხნის განმავლობაში იგი ჩართული იყო და არის საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ შესაძლო წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც სახვითი ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი; კონკურსანტს აქვს მათი წაკითხვის მრავალწლიანი გამოცდილება. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების

სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზაცია. აგრეთვე, აღსანიშნავია დიდაქტიკური მიმართულებით სიახლეების დანერგვის პრაქტიკა. წარმოდგენილი 4 ელ სასწავლო კურსი მრავალფეროვანია და მიმართულების სტუდენტებისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოებია.

კონკურსანტის მონოგრაფიები, პუბლიკაციები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში; ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას; პუბლიკაციები უცხოეთში და საქართველოში(წარმოდგენილი 48 პუბლიკაციიდან უცხოეთში გამოქვეყნებულია 30 პუბლიკაცია მათ შორის 3 მონოგრაფია) საერთაშორისო კონგრესებში მონაწილეობა-სახვითი ხელოვნების, კულტურის ფილოსოფიის საკითხების ახლებურად დაყენება და გადაწყვეტის გზების ძიება ცალსახად ასაბუთებს, რომ კონკურსანტის სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

კონკურსანტს ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში; მიღებული აქვს "საუკეთესო ახალი და თანამედროვე მხატვრების პრიზი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, 2022 წ. და საერთაშორისო პრიზი ლეონარდო და ვინჩი, ფლორენცია, იტალია, 2022 წ. არის არაერთი გამოფენის, მათ შორის პერსონალურის, მონაწილე და ორგანიზატორია. აქვს უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, არის აკადემია „იტალიის ხელოვნება მსოფლიოსთვის (კულტურის ასოციაცია)", ბრინდიზი, იტალია საპატიო წევრი./ Academy "Italia In Arte Nel Mondo", Brindisi, Italy. თურქეთის კულტურის ცენტრთან საერთაშორისო სიმპოზიუმის თანაორგანიზატორი,

განსაკუთრებულად ყურადსაღებია კონკურსანტის მუშაობა სტუდენტებთან. იგი არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, და რეცენზენტი, კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი. და კონკურსანტის მიერ

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, (რომელიც კარგად ჩანს კონკურსანტის ანკეტიდან) და მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

სამოტივაციო წერილში კონკურსანტი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ხელოვნება ყოველთვის მრავალშრიანი და მრავლისმომცველი მოვლენა იყო. განსაკუთრებით კი, დღეს როდესაც სულ უფრო მზარდი და გართულებული ხდება მისი სტრუქტურა, მისი ესთეტიკური გამოვლინებანი. ხელოვნების სფეროში, საუნივერსიტეტო განათლების მიღების პროცესში, ეს ითხოვს, არა მარტო, ხელოვნების სწავლების, საკუთრივ პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებზე ახალგაზრდის ყურადღების კონცენტრაციას, არამედ მის გარკვეულ ორიენტირებასაც მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პარასახელოვნებო, კვაზისახელოვნებო პროცესებშიც - გარკვეული გამოცდილებაც, ამ მიმართულებით მას წლების მანძილზე დაუგროვდა. მისი საბაზისო გამოცდილება, როგორც მხატვრული და სამეცნიერო შემოქმედების, პედაგოგიკის - ხელოვნების პრაქტიკული სწავლებისა და მეთოდოლოგიის დარგში წაადგება სასწავლო პროცესს და შეესაბამება ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, სახვითი ხელოვნების კათედრის, როგორც აკადემიური, შემოქმედებითი და კვლევითი ერთეულის მიზნებსა და დანიშნულებას (დეტალურად იხ. ოქმი №1 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა").

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. იგი გახლავთ დოქტორი ესთეტიკის დარგში და პროფესიონალი მხატვარი. მაღალ დონეზე უთავსებს ერთმანეთ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას. იგი კრეატიული აზროვნების საფუძველზე ახდენს ახალი იდეების გენერირებას, რაც უდაოდ საუნივერსიტეტო სივრცისათვის და დარგის განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

მას აქვს რეალისტური სამეცნიერო - კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო მიზნებთან. მისი არჩევა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტში ამ დარგის მაღალ დონეზე პროფესიული განვითრებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ვლადიმერ ასათიანის კანდიდატურას. საკონკურსო კომისიის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია, ვინაიდან კონკურსანტის განათლება და სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული უნარ-ჩვევები, მონაცემები, მიღწევები სრულად შესაბამისობაშია გამოცხადებულ საკონკურსო პოზიციასთან. კონკურსანტ ვლადიმერ ასათიანის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სახვით ხელოვნებას დაეხმარება ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევაში;

კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები მნიშვნელოვანი წინაპირობაა სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით; ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო რეაკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მის მიერ შემოტანილი სალექციო კურსები გამოირჩევა ახალი თანამედროვე მიდგომებითა და ინტერდისციპლინური ხედვით და სტუდენტებს თეორიულად და პრაქტიკულად შეასწავლის სახვითი ხელოვნების, ხელოვნების ფილოსოფიის აქტუალურ თემებსა და საკვანძო საკითხებს. ხელოვნების ფილოსოფიისა და ესთეტიკის მიმართულებით მის მიერ დაგეგმილი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური აქტივობები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ტრანსფერს, რაც პოზიტიურად აისახება თსუ ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის პროგრამების მდგრადობაზე და გრძელვადიან დინამიკაში განვითარებაზე. გარდა ამისა, ვ. ასათიანი აქტურად არის ჩართული სამაგისტრო მოდულის განხორციელებაში. ამ ხნის მანძილზე მან თავი გამოავლინა, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ და დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების მხრიდან პატივისცემა.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ესთეტიკისა და კულტურის ფილოსოფიის კათედრის პროფესორის 1

ვაკანსიაზე (ა კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი **ირაკლი ბათიაშვილი.**

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვიზუალური ხელოვნების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე (ა კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა პრეტენდენტი **ვლადიმერ ასათიანი.**

3. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: / პროფ. დ. ჯალაღონია/

კომისიის მდივანი: /ასოც.პროფ. ა.ზაქარიაძე/

კომისიის წევრები: /პროფ. ვ. რამიშვილი/

/ასოც. პროფ. ლ.სილაგაძე/

/ ასოც.პროფ. მ. სურმავა/

თარიღი: 24.10.2024